

საგზაო

საქართველო
საგზაო


საერთო საგზაო ოთხგზატი 16 აპრილი 2008 №085 (3309)

ფასი 50 თეთრი

3 ივნისი: დაიწყო საერთო საგზაო თავდასახელები მებრძოლებით დაგვირგვინდება ფიგურა, დავიდსი, და ბურაბი, კლუბივარტი, ლიტმანანი, კანჩელსკისი, ვორონინი...



ლუის გან გალის
არჩევანი: პაპუჩი,
სტაბილი თუ...
პოლანდიის
თბილისში
ჩამოსვლა
გადანერგვითა



საერთო საგზაო ჯამაიკა დააგვარა უაფილგეთი-პარიზი: კალიან ბურით კალიან ცოტა

საერთო საგზაო 90:3 იანაიკა
საერთო საგზაო: კავთიძე, მ. ნიკოლაური, კორკელია, ნუცუბიძე,
ტუჩაშვილი, ხმალაძე, ჭინჭარაული; კოლელიშვილი, რევიშ-
ვილი, კობაური (კაპ), ნიკოლაიშვილი, იორდანაშვილი, ჯა-
შიტაშვილი, სხულუხია, მირცხულავა.
შეცვლაზე შევიდნენ: კაკოვინი, ცირეკიძე, თორაძე, ჩოჩიშვი-
ლი, როსვაძე, ბ. ნიკოლაური, ჯოგლიძე.
14ლ: ჯაშიტაშვილი (2); ტუჩაშვილი (2); კოლელიშვილი,
ხმალაძე, მ. ნიკოლაური, ნუცუბიძე, კავთიძე, ბ. ნიკოლაური,
ნიკოლაიშვილი (2), ცირეკიძე, თორაძე;
10გ: ნუცუბიძე (7), ჯოგლიძე (2), ბ. ნიკოლაური;
იამაიკა: ს: ტაპერი

გუმინ საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა მსოფლიო-
ს თასზე პირველი მატჩი გამართა და ჯგუფში პირველ
მეტოქე იამაიკას ბღვერი ადინა. ჩვენებმა კარიბელებს 90:3
მოუგეს. აქამდე ამ ასაკში მხოლოდ ევრორაგობა იმართე-
ბოდა, ახლა კი მსოფლიოს სადებიუტო თასიც ტარდება და
პირველი დღის შემდეგ ჩვენებმა გაილაღეს. 87 ქულა კი
მსოფლიოს თასზე სარეკორდო სხვაობაც არის.
შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს თასზე ქართველები B დი-
ვიზიონში თამაშობენ, რომლის გამარჯვებულსაც გაისად ელი-

ტაში დაწინაურდება. მსოფლიოს ჩემპიონად კი, ცხადია,
სწორედ ელიტარული დივიზიონის გამარჯვებული ცხად-
დება. იქამდე კი, როგორც ვთქვით, ქართველებმა მსოფ-
ლიოს თასი B დივიზიონი გამარჯვებით დაიწყეს.
გუმინვე დაუკავშირდით საქართველოს 20-წლამდელთა
ნაკრების მთავარ მწვრთნელ ნიკო ჭავჭავაძეს:
„ასეთ უსუსურ მეტოქეობას ნამდვილად არ ველოდით.
ბიჭებმა, რომ იტყვიან, გაილაღეს. ჩვენი მთავარი მიზანი
ჯგუფში პირველი ადგილის დაკავება, B დივიზიონის ფინა-
ლში გასვლა და მისი მოგებაა. გაისად ზომ ელიტაში მხო-
ლოდ ჩვენი დივიზიონის გამარჯვებული ითამაშებს. ჩვენ
სწორედ სამისოდ ჩამოვედით და ფინალამდე ძალები უნდა
გადავანაწილოთ“.
შეგახსენებთ, რომ ჩვენს ჯგუფში იამაიკასა და საქარ-
ველოსთან ერთად ურუგვაი და სამხრეთ კორეა თამაშობენ.
მეორე ჯგუფში კი მასპინძელი ჩილე, რუმინეთი, ნამიბია და
კუკის კუნძულები არიან.



ირაკლი მირცხულავას
კლიფორდ კლერკმა
ვერაფერი დააყლო

ბაჩო სვანიძე



დღე, ადგილი და სალსი დათმებულია

შოთა არველაძე ფეხბურთს 3 ივნისს პარსკვლავთცვენაში დაემშვიდობება

იმ დროს ესპანეთის პრიმერადივიზიონი დამთავრებული იქნება და ევრო 2008-ის დანყებამდე ოთხი დღეა იქნება დარჩენილი: 3 ივნისს თბილისში, ეროვნულ სტადიონზე შოთა არველაძე ქართველ გულშემატკივრებს დაემშვიდობება! საქართველოს ეროვნული ნაკრების ყველა დროის საუკეთესო თავდამსხმელს და მეგობრებს უცხოელი ვარსკვლავებიც დააფასებენ — არნახული ვარსკვლავთცვენა იქნება „ეროვნულზე“ და ძნელად, ნამდვილ გულშემატკივრს სტადიონისკენ არ გაუნიოს გულმა.

შოთას გუშინ ვალენსიაში რომ დავუკავშირდით, სხვაც ბევრი ვკითხეთ: საქართველოს ნაკრები უმწვრთნელოდაა და გეცოდინებათ, არველაძე თავისი კავშირებით ცდილობს კარგი ვარიანტის გაჭრას — გუშინდელ საუბარში ბევრი სიახლაც გავიგეთ. ისიც, რომ შესაძლოა, შოთა არველაძე ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტი გახდეს...

ესპანეთიდან უკოლოდ არ წამოვალ

— „ბეტისთან“ ბოლო 16 წუთი ითამაშე, კიდევ ექვსი ტური დარჩა პრემიერაში და როგორ ფიქრობ, შემდეგ მატჩებში სრულად თამაშს შეძლებ?

— ერთი ტაიმის თამაში შემიძლია. სიმართლე ვთქვა, შეცვლაზე თამაში უფრო ძნელია, თანაც, ამას მაინცდამაინც მიჩვეული არ ვარ.

— „ბეტისთან“ სენსაციური მოგება რას მივაწეროთ?

— ფეხბურთია და ხანდახან „ლევანტე“ კი არა, უფრო სუსტი გუნდებიც იგებენ. რაც მთავარია, ეს ტრავმა მოვირჩინე და ვთამაშობ. ახლა გოლის გატანა და მარჯა მიზნად — ესპანეთიდან ისე არ წამოვალ, ერთი რომ არ გავიტანო.

— ამ ბოლო მატჩში მომენტი არ გქონდა?

— თანაგუნდელს პასი რომ მოეცა, მეკარესთან პირისპირ გავდიოდი. არ მომცა, კარში დაარტყა...

3 ივნისს უპიძისი თამაში გვქმნება

— ფეხბურთელის კარიერას ასრულებ და 3 ივნისს თბილისში გამოსამშვიდობებელ მატჩს ატარებ — ეს უკვე გადაწყვეტილია?

— დიახ. ამაზე ლამაზი ჩემთვის არაფერია, ქართველ გულშემატკივრებს დაემშვიდობები.

— მატჩი საქველმოქმედო იქნება?

— დიახ. მატჩი ჩემი, არჩილის და რუზის ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის მეშვეობით გაიმართება. იმედია, ბევრი მაყურებელი მოვა — კიდევ ერთხელ მინდა გადაჭედო „ეროვნულზე“ თამაში. თანაც, ეს მატჩი კარგი მაგალითი იქნება იმ მხრივ, რომ ამგვარი გაცილებები დაინერგოს. საცოდაობა არ იყო, თემურ ქეცბაიას კვიპროსზე რომ მოუწვევს გასაცილებელი მატჩი? კიდევ რამდენი ცნობილი ქართველი ფეხბურთელი წავიდა გაუცილებლად...

— საქართველოს ნაკრები უცხოელი ვარსკვლავების წინააღმდეგ უცხოელებიდან ვისი ჩამოსვლაა გადაწყვეტილი და კიდევ ვის უნდა ველოდოთ?

— რონალდ და ფრანკ დე ბურები, პატრიკ კლუივერტი, ედვარ დაუილსი, შტეფან კლ-

ოსი, კრისტიან ნერლინგერი — ამათ უკვე თანხმობა მითხრეს, ანდრე კანელსკისს, ლუიშ ფიგუს, ანდრე ვორონისს, იარი ლიტმანენს ველაპარაკე და ყველანაირად ვეცდებით, რომ ჩამოვიდეთო. „ლევანტედან“ იტალიელ დამიანო ტომპაზის ვუთხარი და თუ მანამდე ტრავმას მოირჩენს, აუცილებლად ჩამოვა. კახა კალაძესაც ვთხოვე, იტალიური კავშირებით ჩამოიყვანოს ფეხბურთელები.

— ალბათ, შენტვის ყველაზე ძნელი თამაში იქნება კარიერაში...

— ძნელი კი არა, ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა გავძლო უთამაშებლად, მაგრამ დრო მოვიდა და...

ნაწარბის მთავარი მწვრთნელის თანაშემად? შესაძლოა...

— ახლა საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის საკითხზეც, რომელიც ჯერ არ გვყავს. ლუის ვან გაალს ბევრი კლუბი ეპატიჟება და...

— ვან გაალი ძალიან ძნელი ვარიანტია. ჯერ არ გადაწყვიტა მისი იმედი, მაგრამ... ვან გაალს გუშინ ველაპარაკე, 3 ივნისს ჩემს გამოსამშვიდობებელ თამაშზე ჩამოსვლაც ვთხოვე და საქართველოს ნაკრებზეც გადავუკარი სიტყვა. მას ევროპული კლუბები უფრო დიდ თანხას სთავაზობენ და ფინანსური კოზირი ხელიდან გვეცლება. ფულიც რომ არა, ვან გაალმა იცის, რომ კარგი შედეგის აღბათობა სხვაგან უფრო მეტი ექნება, ვიდრე საქართველოში.

— 3 ივნისს აუცილებლად ჩამოვა ვან გაალი თბილისში?

— დიახ. რომ არ ჩამოვიდეს, ხმას აღარ გავცემ. ეს ნახევრად ზუპრობით...

— ვან გაალის გარდა, სხვა მწვრთნელებსაც ველაპარაკე ნაკრების საკითხზე...

— ჰო, მაგრამ გვარებს ჯერ ვერ გეტყვით, ჩემგან არაკორექტული იქნება.

— და ისინი, თანახმანი არიან ჩვენი ნაკრების გაწვრთნაზე?

— უარი არავის უთქვამს. მთავარია, ფედერაციის ხელმძღვანელები მათთან მორიდდნენ.

— ბევრი ლაპარაკობენ, შესაძლოა, ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტი შოთა არველაძე იყოსო...

— შესაძლოა...

ილია ნანობაშვილი



სანტოსი ზესტაფონს ინტერნეტით ქობაგობდა



მკობამ დოქტორიანაშვილის ფოტო

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის 21-ე ტურში „ზესტაფონში“ კვლავ გამოჩნდა ბრაზილიელი მცველი ედსონ სანტოსი, რომელიც შარშან ივლისში ოჯახთან ერთად სკანდალურად აიბარგა საქართველოდან და ბოლო დღეებამდე აქეთ პირი აღარ უქნია. ზამთრის მოსამზადებელ პერიოდში ითქვა, რომ სანტოსი „ზესტაფონს“ დაუბრუნდებოდა და ანთალიაშიც გაჰყვებოდა შეკრებაზე, მაგრამ მაშინ ასე არ მოხდა. ახლა კი ბრაზილიელი ზესტაფონშია და თემურ მახარაძემ „ბორჯომის“ წინააღმდეგ თამაშის საშუალებაც მისცა.

გუშინ სანტოსს ზესტაფონში შევეხმიანეთ და ინტერვიუ ვთხოვეთ. გასაგებ მიზეზთა გამო სანტოსთან იმ დეველ, ავადმოსაგონარ ამბავზე სიტყვაც არ დაგვიძრავს...

— საქართველოდან ივლისში წახვედი. ეს თვეები უქმად იყავი თუ ვარჯიშობდი სადმე?

— ქალაქ სანტა კატარინას გუნდში ვვარჯიშობდი. ეს გუნდი ბრაზილიის ჩემპიონატის მეორე ლიგაში გამოდის. რა თქმა უნდა, ფორმის შესანარჩუნებლად სათამაშო პრაქტიკა საჭირო, თუმცა ამ ხნის განმავლობაში ვარჯიში არ დამიკლია.

— „ზესტაფონის“ ამბებს იკებდი?

— ინტერნეტით. კლუბის ვებგვერდზე შევდიოდი და ჩემ არყოფნაში გატანილი ყველა გოლი ნანახი მაქვს.

— აქ დაბრუნებულს გუნდში

რამდენიმე ახალი ფეხბურთელიც დაგხვდა. მათზე რას იტყვი?

— არ არის დიდი ხანი, რაც ერთად ვვარჯიშობთ, თუმცა პერსპექტიული ახალგაზრდები კი ჩანან.

— თემურ მახარაძემ „ბორჯომთან“ რამდენიმე წუთით გათამაშა და ხომ არ გაგიჭირდა?

— უკვე ორი ბურთით ვიგებდით და ამან ფსიქოლოგიური ტვირთი მომიხსნა. ახლა ჩემი მთავარი ამოცანა ძირითადად ადგილის დამკვიდრებაა.

— როგორ ფიქრობ, „ზესტაფონს“ ჩემპიონობის შანსი დარჩა?

— თბილისის „დინამოს“ 6 ქულით ჩამოვრჩებით და ამის აღმოფხვრა რთული იქნება, მაგრამ ჩვენ

ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ, ფეხბურთში ხომ ყველაფერი ხდება.

— „დინამოსთან“ სათასო დაპირისპირებაზე რას იტყვი? პირველი შეხვედრა თბილისში 1:1 მორჩა...

— ჩემი აზრით, 99 პროცენტით ფინალში „ზესტაფონია“.

— და ალბათ თასის აღებაზეც ფიქრობთ...

— ჯერ ფინალში გავიღებ და ამაზე მერე ვიტყვი.

— „ზესტაფონთან“ კონტრაქტი ოქტომბერში გიმთავრდება. რას აპირებ?

— ამაზე ჯერ არ მიფიქრია, ახლა მთლიანად მომდევნო თამაშებზე ფიქრობ.

ნუხრი ლოლაძე



ეროვნული ჩემპიონატი

ქობაგობის კლუბს ბარიბაბა დაუბტკისდა ზინ იყო უამკვთი?

ყაზახური კლუბი ყარაგანდის „მახტიორი“ სკანდალში გაეხვია. იქნებ ეს ფაქტი ჩვენთვის საინტერესო არც ყოფილიყო, მაგრამ ყარაგანდული გუნდის მთავარი მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილია, გიორგი მელქაძე და ლაშა ნოზაძე კი — ფეხბურთელები.

ამ სკანდალზე ერთ-ერთი ყაზახური გაზეთი წერდა, უფრო სწორად, საფეხბურთო კლუბ კოკეტაუს „ოკჟეტპეს“ პრეზიდენტ მარატ ოსპანოვის განცხადება იყო დაბეჭდილი, რომლის თანახმადაც „მახტიორის“ სპორტულმა დირექტორმა ვლადიმერ ნიდერგაუსმა „ოკჟეტპეს“ მთავარ მწვრთნელ ვიაჩესლავ ლედოვსკის გარიგებული მატჩის ჩატარება შესთავაზა, რაზეც უარი მიიღო და ლედოვსკისმა ყველაფერი კლუბის ხელმძღვანელობას აცნობა.

ოსპანოვის განცხადების თაობაზე ყაზახეთის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა იმსჯელა და ნიდერგაუსს 3 წლით აუკრძალა ფეხბურთში საქმიანობა, შემდგომში განმეორებითი მცდელობის შემთხვევაში კი საერთოდ ჩამოაშორებენ ფეხბურთს.

კლუბი კი 600 000 ტენგეთი (7212 ლარი) დაჯარიმდა.

ამ სასჯელით გაკვირვებულნი და გაოცებულნი დარჩნენ ყაზახი ჟურნალისტები: „ნიდერგაუსი საკუთარი ინიციატივით მოქმედებდა და კლუბის ინტერესებს არ იცავდაო?“

სადისციპლინო კომიტეტმა გასაპროტესტებლად 10-დღიანი ვადა დათქვა ცნობისთვის: „მახტიორ“ — „ოკჟეტპეს“ მატჩი ყარაგანდელელებმა 2:1 მოიგეს მსაჯის მიერ წამატებულ წუთებზე გატანილი გოლით.

მიხეილ შორაშოლიანი

ნამდვილი და ყალბი ორმაგი სტანდარტი

რატომ არ ბააძევა ხარიტონაშვილმა ქობაგობურაცხემოფელი სანიკიძე?



„**ორმაგი სტანდარტი**“ — ეს სიტყვათა წყობა ბოლო დღეებში „ბორჯომის“ თავკაც ვლადიმერ ხაჩიძის ბავთ დასცდა.

ხაჩიძემ „ამერთან“ სათასო ნახევარფინალური მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე დაიჩივლა, ქობაგობელებს ებუღ ღონაღღ დერინგ ჯუსი დამნაშავე კი იყო, მაგრამ მის შემგინებლებს რატომ არ ვსჯითო.

ცოტა არ იყოს, საკამათო და უცნაური ნათქვამია — ჯერ ერთი, მსაჯს არავითარი უფლება და შესაძლებლობა არ აქვს, ბილწი ქობაგი დასაჯოს, და მეორეც, თუ ჯუსის დანაშაულს აღიარებთ, მას რატომღაც ცდილობთ მის გამართლებას?!

ეს ყველაფერი იმის გასარკვევად დაგვიჭირდა, თუ

სად და როდის ენახეთ „ნამდვილი“ ორმაგი სტანდარტი.

დერინგ ჯუსი „ამერი“ — „ბორჯომის“ არბიტრ ლევან ფანიაშვილს მეოთხე მსაჯმა დავით ხარიტონაშვილმა გააძევებინა და სამართლიანადაც.

იმავ ხარიტონაშვილმა კი (ამჯერად არბიტრობისას) სამიოდ დღის წინ „სიონი“ — „ლოკომოტივის“ საჩემპიონატო მატჩისას ასევე ქობაგის შეურაცხყოფისთვის ოდენ სიტყვიერი გაფრთხილება აკმარა ბოლნისელ ლევან სანიკიძეს.

აი, აქ გვიჩნდება ბუნებრივი კითხვა: რატომ? რატომ არ გააძევა ხარიტონაშვილმა სანიკიძე?

ლუბა თალაგვაძე




ვლადიმერ ხაჩიძე და ღონაღღ დერინგ ჯუსი



ლევან სანიკიძე

მე პარპენებ გაზას გზას



მაიკ ტაისონი

ლეგენდარულმა მოკრივემ მაიკ ტაისონმა გასაოცარი რამ თქვა — ინგლისში ვაპირებ ჩასვლას და რომ ჩავალ, იქნებ პოლ გესქოინი მანახოთ, დაველაპარაკები, ჭკუას დავარბევ, გზაზე დავაბრუნებო. „სარბიელის“ მკითხველთათვის ცნობილია, მაგრამ მაინც შეგახსენებთ, რომ ინგლისის ნაკრების ყოფილი ვარსკვლავი პოლ გესქოინი

არცთუ დიდი ხნის წინ ფსიქიკური პრობლემების წინაშე დადგა და ორი კვირა კლინიკაშიც კი გაატარა. და, როგორ უნდა დაეხმაროს ოდინდელი მძიმეწონისანი შერეკილი ფეხბურთის ოდინდელ ვარსკვლავს? სწორედ რომ თავისი შერეკილი წარსულის გათვალისწინებითა და დახმარებით. საქმე ის არის,

უემოდი, გარეთი სანამ რაფა ლიგერპულშია...

გარეთი ბერი გახლავთ „ასტონ ვილას“ ფეხბურთელი, რომელიც „ლივერპულის“ მწვრთნელს, რაფა ბენიტესს ძალიან მოსწონს და, როგორც ინგლისური პრესა გვატყობინებს, მომავალ ზაფხულს უპირველეს ყოვლისა სწორედ მისი ყიდვა სურს. ბერი 27 წლის ნახევარმცველია, რომლის თაობაზეც ბენიტესს ბირმინგემის კლუბში პირადად დაურეკავს და 12 მილიონი გირვანქაც შეუთავაზებია.

მასთან თანამშრომლობას რომ არ გაურბის?... საქმე ის არის, რომ ნოემბრის შემდეგ ჰიკსმა პოზიცია შეიცვალა. დღეს ის ესპანელი მწვრთნელის მხარდამჭერია, თუმცა სანამ მის ხელში კლუბის აქციათა მხოლოდ და მხოლოდ 50 პროცენტია, ბუნებრივია, თავისუფლად ვერ იმოქმედებს. თუმცა, მგონი დავგავიწყდა, რით დავიწყეთ საუბარი. ჩვენი საუბრის თემა „ასტონ ვილას“ ნახევარმცვე-

რომ მაისის მიწურულს ტაისონს ინგლისის ჩრდილოეთში ელიან. როგორც პრესა იტყობინება, ამერიკელი მოკრივე ინგლისში, თუ შეიძლება ასე ითქვას, „სალაპარაკოდ“ ჩადის (ალბათ, კონსულტაციებსა და ტელეშეხვედრებზეა გარიგებული) და მავან ადგილთა შორის ვეიტსპლდში ვიზიტიც აქვს დაგეგმილი. ცნობისათვის: მაიკ ტაისონი 41 წლისაა, ხოლო პოლ გესქოინი — 40-ის.

„გაზას შესახებ ყველაფერი ვიცი და ვგრძნობ, რომ მისი დახმარება შემიძლია — განაცხადა კრივის ლეგენდამ — პირად ცხოვრებაში ჩემი ჩათვლით უამრავი სპორტსმენი დატანჯულა და ამიტომაც მსურს მხარში ამოვუდგე. გაზას დღესაც სუპერვარსკვლავად მივიჩნევ და თუ უარს არ იტყვის, დაველაპარაკები“.

როგორც ტელეკომპანია BBC იტყობინება, ტაისონი ინგლისელ ფეხბურთელთაგან რამდენჯერმე შეხვედრია კრივის დიდ მოყვარულ უენ რუნის, რომელსაც სამი წლის წინ თამაშის სტილს უწუნებდნენ, მეტისმეტად აგრესიული ხარო.

„2005 წელს უენ რუნის ჰქონდა პრობლემები. მაშინ მას შევხვდი და გამოვაფხიზლე, გავაყოფა — იგონებს ტაისონი — დარწმუნებული გახლავართ, გესქოინსაც წაადგება ჩემთან ლაპარაკი“.

გააზნა კილია



ოთხში აპოსუღი გუნდი

ალექს ზარბიუსონი მორიგი ტიტულის სიახლოვეს ვრძნობს და აცხადებს, რომ ეს მისი გუნდის ჩინებული თამაშის შედეგია — „მანჩესტერ იუნაიტედი“ დიდი ინგლისური ოთხეულის დანარჩენ სამ წევრთან შედარებით ძლიერია. სტატისტიკა ასეთია: მიმდინარე სეზონში, ამ მომენტისთვის „იუნაიტედს“ „ჩელსისთან“, „ლივერპულთან“ და „არსენალთან“ 15 ქულის აღება შეეძლო და... 13 აილო. დიდებული შედეგია!

15 ქულის აღება შეეძლო დღეს პრემიერლიგის ცხრილში მეორე ადგილზე მყოფ „ჩელსისაც“, მაგრამ ვაგლახ, „ლურჯებს“ მხოლოდ 5 აქვთ.

„არსენალსა“ და „ლივერპულს“ ამ მომენტისთვის ოთხეულის გუნდებისგან 18-18 ქულის დაგროვება შეეძლოთ, თუმცა პირველს ოდენ 6 აქვს, მეორეს — 4.

„მანჩესტერ იუნაიტედს“ 26 აპრილს შემოსვენებული საუცხოო შედეგის კიდევ უფრო დამშვენებაც შეუძლია — ამ დღეს პრემიერლიგაში, ფაქტობრივად, ჩემპიონის ბედი წყდება — ლონდონის „სტემფორდ ბრიჯზე“ ალექს ფერგიუსონის გუნდი „ჩელსის“ უნდა შეხვდეს. მაშ ასე, ინგლისის ჩემპიონსა და ლიდერს ამ სეზონში ოთხი თამაშში აქვს წევებული, მათ შორის ორი — თანაქალაქელ „მანჩესტერ სიტისთან“, მაგრამ „დიდი ოთხეულის“ გუნდებთან არცერთი.


„ყოველთვის ვამბობდი, რომ მიმდინარე სეზონში ტიტულის ბედს ოთხეულის ურთიერთშეხვედრები გადაწყვეტდა — ამბობს სერ ალექსი — და როგორც ხედავთ, მართალი გამოვდექი. მაღლობა დმერთს, ჩვენს უშუალო კონკურენტებთან კარგად ვითამაშეთ და გვარიანი ქულებიც დავხვეტეთ. ასეც უნდა მოქცეულიყავით, ვინაიდან ჩემპიონ-

ნატის განმავლობაში რამდენიმე ქულას აქა-იქ აუცილებლად დავკარგავდით. ბოლო წლებში პრემიერლიგა ხომ გაცილებით გაძლიერდა. აი, მაგალითად, ჩვენ ექვსი ქულა „მანჩესტერ სიტისთან“ დავკარგეთ, რაც სრული მოულოდნელობა გახლდათ. დავმარცხდით „ვესტ ჰემსა“ და „ბოლტონთანაც“, მაგრამ ვიმეორებ, ასეთი რამ ხდება ხოლმე, მთავარია, დაკარგულ ქულათა რაოდენობა, რაც შეიძლება მცირე იყოს. ახლა ასეა: თუ მომდევნო ორ თამაშს მოვიგებთ, ჩემპიონები გავხდებით“.

ასე და ამგვარად, „მანჩესტერ იუნაიტედს“ ამ სეზონში ჩემპიონობაც შეუძლია და თასის მოპოვებაც, აი, „არსენალს“ კი ისეთი პირი უჩანს, რომ სეზონს ტიტულის გარეშე ხედზედ მესამედ ჩამთავრებს, მაგრამ „მანჩესტერის“ კაპიტან რიო ფერდინანდს არსენ ვენგერსა და მისი გუნდზე გული წამითაც არ წყდება.


„რა დროს სენტიმენტებია. ისინი არ მეცოდებიან, რადგან დარწმუნებული ვარ, ჩვენ რომ ვიყოთ ჩამორჩენილები, მათ ერთი წამით არ შევეცოდებოდით. ჩემი საზრუნავი მხოლოდ „მანჩესტერ იუნაიტედი“აა. „არსენალი“ კარგი გუნდია, მართლაც ძალიან ლამაზ ფეხბურთის თამაშობს, მაგრამ ჩვენ, მანჩესტერელებს, თუ ჩემპიონობა გვინდა, სხვაზე წამითაც არ უნდა ვიფიქროთ. მთავარი ჩვენ ვართ. მითუფრო, ახლა სეზონი მთავრდება და მეტად საპასუხისმგებლო დრო დგას. დღეს მოგებული სამი ქულა ხვალინდელი ჩემპიონობის ტოლფასია, ასე რომ, თითებს გადავაჯვარედინებ და ვიტყვი, რომ ბოლო შეხვედრებში მაქსიმალური მობილიზებით უნდა ვითამაშოთ და ყველაფერი კარგად იქნება“.

გააზნა კილია



გარეთ ბერი





ჯოჯოხეთური დედოფალი ბოონენმა დაიმორჩილა

„ჩრდილოეთის ვოლონტი“, „კლასიკის დედოფალი“ — აი, როგორი ეპითეტებით ამკობენ ლეგენდარულ ერთდღიან რბოლას, რომელიც წლეულს, უკვე ასმეექვსედ ჩატარდა საფრანგეთის ჩრდილოეთში, პარიზიდან რუბემდე გაჭიმულ 260-კილომეტრიან, მართლაც რომ ჯოჯოხეთურ გზაზე, რომლის მოზრდილი ნაწილიც ვიწრო ფილაქანზე გადის და ფინიში კი რუბეს ველოდრომზე აქვს.

სწორედ ველოდრომზე გაირკვა წლევეანდელი გამარჯვებულის ვინაობა, როდესაც ბელგიელმა ტომ ბოონენმა საფინიშო სპურტით აჯობა შვეიცარიულ ფაბიენ კანცელარასა და იტალიელ ალესანდრო ბალანს. ეს სამნი ძირითად ჯგუფს ფინიშამდე 35 კილომეტრით ადრე მოწყვდნენ და ისეთი ტემპი განაუთარეს, რომ მეოთხე ადგილზე გასუ-

ლი ჰოლანდიელი მარტინ მასკანტი სამწუთნახევარზე მეტით ჩამოიტოვეს.

კანცელარამ, ვისაც „პარიზი-რუბე“ 2006 წელს მოუგია და ბალანმა კარგად იცოდნენ, რომ საფინიშო სპურტის გარჩევაში ბოონენთან შანსი არ ექნებოდათ, ამიტომაც არაერთხელ სცადეს ბელგიელის ჩამოშორება, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ბოონენმა ბოლომდე გაძლო და თითქმის ექვსსათიანი რბოლის მიწურულს თავისი განთქმული საფინიშო სპურტით კონკურენტებს შანსი არ დაუტოვა.

5 საათი, 58 წუთი და 42 წამი — აი, ამდენი მონდობა პარიზიდან რუბემდე ჩასვლას ტომ ბოონენმა და კარიერაში მეორედ მოიგო (პირველად 2005 წელს) ყველაზე პრესტიჟული და რთული ერთდღიანი კლასიკური რბოლა.

106-ე პარიზი-რუბე. მთლიანი კლასიკური რბოლა. 260 კმ

1. ტომ ბოონენი (ბელგია, „ქვიკ სტეპი“) 5 სთ 58 წთ 42 წმ
2. ფაბიენ კანცელარა (შვეიცარია, CSC) იგივე დრო
3. ალესანდრო ბალანი (იტალია, „ლამპრე“) იგივე დრო
4. მარტინ მასკანტი (ჰოლანდია, „სლიპსტრიმი“) +3 წთ და 39 წმ
5. სტიუარტ ოგრეიდი (ავსტრალია, CSC) +3 წთ და 57 წმ

კუნებომ პალპირდეს სხლი ნაპრთვა

მთლად „პარიზი-რუბესავით“ დიდი ისტორია არ აქვს, მაგრამ ველოსპორტის სამყაროში ბასკური „კლასიკა პრიმავერა“ დიდი პოპულარობით სარგებლობს, რომელიც „ბასკების ქვეყნის ვუელტას“ დასრულების შემდეგ იმართება ხოლმე და წლეულს 54-ედ ჩატარდა.

171,6-კილომეტრიანი რბოლის ფავორიტად მასპინძლების ჯილა, „კაისე დეპარნის“ ლიდერი ალესანდრო ვალვერდე ითვლებოდა და 28 წლის ბასკი ახლოსაც იყო მიზანთან, მაგრამ სულ ბოლოსკენ იტალიელი დამიანო კუნეგოს საფინიშო შეტევა გამოეპარა და მეორე ადგილს დასჯერდა.

კუნეგომ ოთხ საათში, 20 წუთსა და 21 წამში ვალია გზა და პირველად მოიგო ბასკური კლასიკა. ვალვერდე მეორე იყო, ხოლო მესამე ადგილზე იტალიური „ლიქუიგასის“ ფინელი მრბილი კილ კალსტრომი გავიდა.



დამიანო კუნეგო

სამართალმა ეპროუბი ჭაპაიან ულრისს ბრალდებაები მოუსხსნა

იან ულრისი გამართლებულია. ყოველ შემთხვევაში, გერმანიის ხელისუფლებამ შეწყვიტა ძიება „იან ულრისის საქმესთან“ დაკავშირებით და ყველა ბრალდება მოუსხსნა ახლო წარსულის სახელოვან ველომრბოლს.

ულრისი 1997 წლის „ტურ დე ფრანსისა“ და 1999 წლის „უელტა ესპანას“ გამარჯვებულია, განლავთ ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი და 1997 წლის ტრიუმფის გარდა, ფრანგული სუპერბოლა კიდევ ექვსჯერ დაასრულა პოდიუმზე — ხუთჯერ მეორე იყო და ერთხელაც მესამე.

ულრისის სახელი ფიგურირებდა „ოპერაციონ პუერტოს“ სახელით ცნობილ, ყბადღებულ სადოპინგო სკანდალში და გერმანიის ხელისუფლება მრბოლს დოპინგის მიღებასა და სასამართლოსთვის ცრუ ჩვენებების მიცემაში ადანაშაულებდა.

თავად ველომრბოლი ყოველთვის კატეგორიულად უარყოფდა დოპინგის მიღების ფაქტს და აპა, მან თავის სიმართლეს მაინც მიაღწია, თუმცა კი გვარიანი ჯარიმის, დაახლოებით 250 ათასი ევროს გადახდა მოუწევს. „მე ყოველთვის პატიოსანი სპორტსმენი ვიყავი და ეს ჯარიმა სულაც არ მიანიშნებს ჩემს დანაშაულზე. ბედნიერი ვარ, რომ ყველა ბრალდება მომიხსნეს. ბოლოს მაინც სამართალმა გაიმარჯვა“ — განაცხადა იან ულრისმა.



ბასკების ქვეყნის კონტადორი

ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის (UCI) და დიდი რბოლების („ტური“, „ჯირო“, „უელტა“) ორგანიზატორთა შორის მომხდარი განხეთქილების გამო, წლეულს მიიღო რიგი უპოპულარული მრავალდღიანი, თუ ერთდღიანი რბოლები UCI-ის მიერ ორგანიზებული პრო ტურის კალენდრის მიღმა დარჩა. ადარ არის ლაპარაკი „ტურ დე ფრანსზე“, „ჯირო დიტალიასა“ და „უელტა ესპანაზე“, პრო ტურის კალენდარში არც „პარიზი-ნიცა“ და არც „პარიზი-რუბე“, რომლებიც „ტურ დე ფრანსის“ ორგანიზატორი კომპანიის, ASO-ს პატრონაჟით ტარდება.

ნდიელი ტომას დეკერი და იტალიელი დამიანო კუნეგო, შესაბამისად, 22, 27 და 49 წამით ჩამოიტოვა.

საერთო ჩათვლაში ადგილები, სწორედ ამ თანმიმდევრობით განაწილდა — პირველი კონტადორი იყო, მეორე — ევანსი, მესამე — დეკერი და მეოთხე — კუნეგო.

ცოტა უფრო ადრე პრო ტურის ეგიდით ორი ერთდღიანი კლასი-

კური რბოლა ჩატარდა და ორივე ბელგიაში. „ფლანდრიის ტური“ მასპინძლის, „ქვიკ სტეპის“ მრბოლის სტიინ დევილდერის გამარჯვებით დასრულდა, ხოლო 209-კილომეტრიანი „გენტი-ვარეკემი“ ჯგუფურ რბოლაში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა ოსკარ ფრეიერემ მოიგო და გახდა ამ ბელგიური კლასიკის გამარჯვებული პირველი ესპანელი.



ალბერტო კონტადორი

პრო ტურის რეიტინგი

1. ანდრე გრეიპელი (გერმანია, „ჰიგ როუდი“) 62
2. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „ასტანა“) 58
3. სტიინ დევილდერი (ბელგია, „ქვიკ სტეპი“) 50
4. ხოსე ხოაკინ ხილი (ესპანეთი, „კაისე დეპარნი“) 45
5. კედელ ევანსი (ავსტრალია, „ლოტო“) 42
6. ოსკარ ფრეიერე (ესპანეთი, „რაბობანკი“) 40
7. ნიკ ნუიენსი (ბელგია, „კოფიდისი“) 40
8. ტომას დეკერი (ჰოლანდია, „რაბობანკი“) 37
9. ხუან ანტონიო ფლეშა (ესპანეთი, „რაბობანკი“) 35
10. დამიანო კუნეგო (იტალია, „ლამპრე“) 33
11. აურელიენ კლერკი (შვეიცარია, „ბუჟ ტელეკომი“) 30
12. ალესანდრო ბალანი (იტალია, „ლამპრე“) 30
13. მიშელ დელაჟე (საფრანგეთი, „ფრანსაიზ დე ჟუ“) 30
14. ვოუტერ ველიანდტი (ბელგია, „ქვიკ სტეპი“) 25
15. მაქსიმ მონფორტი (ბელგია, „კოფიდისი“) 25
16. ჯორჯ ჰინკეიპი (აშშ, „ჰიგ როადი“) 25
17. მიშელ ბუფაზი (საფრანგეთი, „კოფიდისი“) 25
18. ხოსე ალბერტო ბენიტესი (ესპანეთი, „სონი დიუვალი“) 21
19. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, „ჰიგ როადი“) 21
20. ერიკ ცაბელი (გერმანია, „მილრაი“) 20

ბუნდები: 1. ჰიგ როუდი (აშშ) 56 ქულა; 2. ასტანა (ყაზახეთი-ლუქსემბურგი) 56; 3. კაისე დეპარნი (ესპანეთი) 55; 4. CSC (დანია) 53; 5. ლოტო (ბელგია) 51; 6. რაბობანკი (ჰოლანდია) 49; 7. ქვიკ სტეპი (ბელგია) 44; 8. სონი დიუვალი (ესპანეთი) 43; 9. კოფიდისი (საფრანგეთი) 40; 10. ლიქუიგასი (იტალია) 39

ქვეყნები: 1. ესპანეთი 199 ქულა; 2. ბელგია 150; 3. იტალია 88; 4. გერმანია 87; 5. საფრანგეთი 65; 6. ავსტრალია 61; 7. ჰოლანდია 37; 8. შვეიცარია 30; 9. აშშ 25; 10. ლუქსემბურგი 23

